

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ხვამლი XXI“**

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	6

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	7
4. ძირითადი საშუალებები.....	13
5. არამატერიალური აქტივები	14
6. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	14
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
10. ამონაგები.....	15
11. თვითღირებულება	15
12. მიწოდების დანახარჯები	16
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	16
14. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	17
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	17

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	773 597	403 626
არამატერიალური აქტივები	5	89 060	8 155
		862 657	411 781
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	6	73 384	187 476
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	784 988	846 842
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	820 791	240 059
საგადასახადო აქტივები		-	24 857
		1 679 163	1 299 234
მთლიანი აქტივები		2 541 820	1 711 015
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		107 389	107 389
გაუნაწილებელი მოგება		1 964 862	1 216 570
რეზერვები და დაფინანსება		-	-
		2 072 251	1 323 959
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	441 373	387 055
საგადასახადო ვალდებულებები		25 947	-
დარიცხული ვალდებულებები		2 249	-
		469 569	387 055
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2 541 820	1 711 015

გოგი გუგავა
დირექტორი

კახა ცხვედიანი
ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	773 597	403 626
არამატერიალური აქტივები	5	89 060	8 155
		862 657	411 781
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	6	73 384	187 476
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	784 988	846 842
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	820 791	240 059
საგადასახადო აქტივები		-	24 857
		1 679 163	1 299 234
მთლიანი აქტივები		2 541 820	1 711 015
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		107 389	107 389
გაუნაწილებელი მოგება		1 964 862	1 216 570
რეზერვები და დაფინანსება		-	-
		2 072 251	1 323 959
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	441 373	387 055
საგადასახადო ვალდებულებები		25 947	-
დარიცხული ვალდებულებები		2 249	-
		469 569	387 055
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2 541 820	1 711 015

გოგი გუგავა
დირექტორი



კინა გვგვდიანი
ფინანსური დირექტორი

სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	10	7 438 259	4 024 911
თვითღირებულება	11	(2 190 832)	(2 118 508)
საერთო მოგება		5 247 427	1 906 403
სხვა შემოსავლები		21	623
მიწოდების დანახარჯები	12	(1 823 971)	(961 772)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(2 675 008)	(283 348)
საოპერაციო მოგება		748 469	661 906
ფინანსური ხარჯი		-	(1 720)
მოგება დაბეგვრამდე		748 469	660 186
მოგების გადასახადი		(176)	(35)
წმინდა მოგება		748 292	660 151
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		748 292	660 151

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	103 239	(0)	556 419	659 658
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	4 150	-	-	4 150
წმინდა მოგება	-	-	660 151	660 151
2018 წლის 31 დეკემბერი	107 389	(0)	1 216 570	1 323 959
წმინდა მოგება	-	-	748 292	748 292
2019 წლის 31 დეკემბერი	107 389	(0)	1 964 863	2 072 251

ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები		5 766 839	4 287 001
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(3 853 510)	(3 266 672)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(1 050 560)	(367 017)
გადახდილი გადასახადები		(562 837)	(244 607)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		299 932	408 705
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(405 395)	(251 346)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(405 395)	(251 346)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)			4 150
პროცენტის გადახდა		(8 629)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(8 629)	4 150
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტებისა ზრდა (კლება)		(114 092)	161 509
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი		187 476	25 967
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		-	-
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი		73 384	187 476

1. ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „ხვამლი XXI“-სათვის (საწარმო) შენიშვნა 2-ში მითითებული მომზადების საფუძვლის შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ხვამლი XXI“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, ქ. ცაგერში. რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 28/02/2007 წელს, ს/კ - 216435677.

საწარმოს 100% წლის მფლობელი პარტნიორი არის ორი ფიზიკური პირი:

გოგი გუგავა	- 12%;
სერგო ხაბულიანი	- 88%.

საწარმოს უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება პარტნიორთა საერთო კრების მიერ.

საწარმოს იურიდიული მისამართია, საქართველო, ქ. ცაგერი, კოსტავას ქ., N20. საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ ქ. ცაგერი, სოფ. ბარდნალში. მის ძირითად საქმიანობას წამოადგენს ასფალტო-ბეტონის და ბეტონის წარმოება და რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად და გამოყენებულია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, რომლის მიხედვითაც მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღად არჩეულია 2018 წლის 01 იანვარი.

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების სწული პაკეტი მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2019 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, ასევე შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და 2018 წლის შესადარის ინფორმაციას.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსაღვენ ვალუტად საწარმო იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან. აღნიშნული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შეძენის ფაქტიური ღირებულების საფუძველზე.

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

საწარმოს ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;

სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ფინანსური აქტივი;

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება - ფინანსური ვალდებულება.

3.1.1 თავდაპირველი აღიარება და შეფასება

როდესაც საწარმო გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელმძღვანელო პირობების მონაწილე, იმ მომენტიდან წარმოებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარებისას, საწარმო მათ შეფასებას ახდენს გარიგების ფასით (**გარიგების დანახარჯების ჩათვლით**, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის, ან მისი სახელმძღვანელო კონტრაქტისთვის. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების **დღევანდელი ღირებულებით**, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული **საბაზრო საპროცენტო განაკვეთით** და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

3.1.2 ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის შემდგომი აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

3.1.3 თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების აღიარება და შეფასება

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

კომპანია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული შემდეგი ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალს აფასებს შემდეგნაირად:

- (ა) ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალი იანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის იქნება ხელმძღვანელების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი;
- (ბ) ისეთი ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი იანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის (რომელიც შეიძლება ნულის ტოლი იყოს) საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც კომპანია მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან (როგორცაა, მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), საწარმომ უნდა აღადგინოს (უკუგატარებით) წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

3.1.4 ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელმძღვანელო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდე- ბულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს, როდესაც ის შესრულებულია, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღების თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის ღირებულება არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

საწარმო ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და ღირებულებას.

3.5 ბანკის სესხები და გარანტიები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.6 სასაქონლო- მატერიალური ფასეულობები

საწარმო მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.7 წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტიური ღირებულებით, ზარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც საწარმომ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა საწარმოს. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვითება მოგება-ზარალიდან, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონლის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

- მანქანა-დანადგარები - 5-10 წ
- ოფისის აღჭურვილობა - 3-5 წ
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 3-5 წ
- სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წ
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 5 წ

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

3.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე: ლიცენზიებისათვის - მათი გამოყენების ვადის საფუძველზე; პროგრამული უზრუნველყოფისათვის 10 წელი.

3.10 საწესდებო კაპიტალი

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს პარტნიორების მიერ და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ საწარმოს პარტნიორების გადაწყვეტილებით.

3.11 ამონაგები

ამონაგები მზა პროდუქციისა და საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი (პროდუქცია) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

თუ პრაქტიკულად მომსახურების გაწევა ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება, როგორც ამონაგები და ხარჯი, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდამობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

3.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებს.

3.13 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება- ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.14 დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში

3.15 იჯარა

ოპერაციული იჯარა. როდესაც საწარმო წარმოადგენს მოიჯარეს იჯარაში, რომელიც არ ახდენს საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და სარგებელის გადაცემას საწარმოსათვის მოიჯარის მხრიდან, მთლიანი იჯარის გადასახადი მიეკუთვნება წლიურ მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდი წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე ხელშეკრულებით ქირაობს აქტივს შემდგომი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს არჩევანი გააგრძელოს აქტივის იჯარით ფლობა შემდგომი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას ფაქტია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევანს.

3.16 შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

საწარმო აკეთებს შეფასებებს და მოსაზრებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად შეფასებულია და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც

გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასებები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ აქტივების და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავენ:

მატერიალური აქტივების და არამატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდი.

მატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის ექსპლუატაციის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ, ფიზიკურ ცვეთას და გარემოებას, რომელშიც აქტივი მუშაობს. ცვლილებებმა ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ამორტიზაციის ნორმების კორექტირება.

საჯარო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება ეფუძნება საწარმოს მიერ კონკრეტული კლიენტის ანგარიშების ინდივიდუალურ შეფასებას. თუ საწარმო განსაზღვრავს, რომ არსებობს ობიექტური მტკიცებულება დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკის მახასიათებლებით არსებული დებიტორის გაუფასურებისა, ის ასახავს გაუფასურების ზარალს.

3.17 ურთიერთ დაკავშირებული მხარეები

ბალანსი და ტრანზაქციები ურთერთდაკავშირებულ მხარეებთან მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ანგანახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2018	8 048	223 097	2 411	453	224 306	1 400	459 715
შემოსვლა	-	281 790	4 367	5 788	113 450	-	405 395
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	8 048	504 887	6 778	6 241	337 756	1 400	865 110
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2018	-	(9 499)	(808)	(133)	(44 809)	(840)	(56 089)
პერიოდის ცვეთა	-	(9 025)	(916)	(188)	(25 015)	(280)	(35 424)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	(18 524)	(1 724)	(321)	(69 824)	(1 120)	(91 513)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2018	8 048	213 598	1 603	319	179 497	560	403 626
31 დეკემბერი 2019	8 048	486 363	5 054	5 919	267 932	280	773 597

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2018	16 533	839	17 372
შემოსვლა	87 251	184	87 435
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	103 783	1 023	104 807
ცვეთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2018	(9 106)	(110)	(9 217)
პერიოდის ცვეთა	(6 456)	(74)	(6 529)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(15 562)	(184)	(15 746)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2018	7 426	729	8 155
31 დეკემბერი 2019	88 221	839	89 060

საწარმოს შეძენილი აქვს საბუღალტრო პროგრამა „ორისი“, რომელიც აღრიცხული აქვს სხვა არამატერიალური აქტივების ჯგუფში. საწყისი აღიარების შემდგომ საწარმო მის შეფასებას ახდენს თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. მომსახურების ვადა განსაზღვრულია 10 წელი.

2019 წლის 6 დეკემბერს საწარმომ შეიძინა ქვა-ღორღის მოპოვების 3 წლიანი ლიცენზია, რომლის ამორტიზირება ხდება მოპოვების მოცულობის შესაბამისად.

6. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

საწარმოს ფულადი სახსრების ნაშთი უცხოურ ვალუტაში არ გააჩნია. ასევე არ გააჩნია ნაღდი ფულის ნაშთი საღაროში. საბანკო ანგარიშების ნაშთები 2019 31 დეკემბრისათვის შეადგენს 73,384 ლარი (2018 წ: 187,476 ლარი).

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	617 670	746 724
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 14)	244 933	175 736
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(77 615)	(75 618)
სულ	784 988	846 842

საწარმო საექვო ვალების დარეზერვებას ანხორციელებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მეთოდით.

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
საქონელი	847	847
ნედლეული და მასალები	273 183	110 932
დაუმთავრებელი წარმოება	464 691	42 105
მზა პროდუქცია	78 548	70 952
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	3 522	15 223
სულ	820 791	240 059

საწარმო მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას. საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 1,683,442 ლარი (2018წ: 1,989,861 ლარი).

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2019	2018
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	384 747	365 421
შეძენილი მომსახურება	-	13 630
გადასახდელი ხელფასები	45 947	1 952
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	864	6 052
ვალდებულება დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 14)	9 815	-
სულ	441 373	387 055

10. ამონაგები

საწარმოს მთლიანმა ამონაგებმა 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის შეადგინა - 7,438,259 ლარი (2018წ: 4,024,911 ლარი).

ამონაგები მოიცავს ასფალტო-ბეტონის, ბერონის და ინერტული მასალების რეალიზაციას. 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში მთლიანი ამონაგებიდან ასფალტო-ბეტონის რეალიზაციამ შეადგინა - 835,929 ლარი (2018წ. 2,492,360 ლარი), ბეტონის რეალიზაციამ - 2,131,264 ლარი (2018წ. 1,255,808 ლარი) და ინერტული მასალების რეალიზაციამ - 397,631 ლარი (2018წ. 276,743 ლარი). ასევე კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ასრულებდა სამუშაოს, როგორც ქვეკონტრაქტორი, საიდანაც მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 4,073,435 ლარი (2018წ. 0 ლარი).

11. თვითღირებულება

თვითღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2019	2018
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	1 683 442	1 782 089
საწარმოში გახარჯული საპოხი და დამხმარე მასალები	-	207 772
პირდაპირი ხელფასი	473 070	99 438
ცვეთა და ამორტიზაცია	34 321	29 209
სულ	2 190 832	2 118 508

საწარმო თვითღირებულებით მზა პროდუქციის ჩამოწერას აღრიცხავს საშუალო შეწონილი მეთოდის ფორმულით.

12. მიწოდების დანახარჯები

მიწოდების დანახარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2019	2018
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(1 822 565)	(960 563)
მიწოდების სხვა ხარჯები	(1 405)	(1 210)
სულ	(1 823 971)	(961 772)

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(97 466)	(158 491)
სოციალური დანარიცხები	(18 028)	-
საიჯარო ქირა	-	(4 826)
რემონტი	(826 469)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(3 633)	(997)
საეჭვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	(1 996)	(75 618)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(16 058)	-
სხვა საერთო ხარჯი	(1 238 288)	(43 415)
სულ	(2 201 938)	(283 348)

14. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

	2019	2018
ურთერდაკავშირებული მხარეებიდან მოსათხოვი თანხები	244 933	175 736
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	244 933	175 736
ურთერდაკავშირებული მხარეებზე გადასახდელი თანხები	9 815	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9 815	-

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს გააჩნდა მოთხოვნა სამ ურთიერთდაკავშირებულ იურიდიულ პირთან: შპს „კრისტალი“ – 70,541 ლარი (2018 წ. 3,469 ლარი), შპს „ამბ ჯგუფი“ – 169,492 ლარი (2018 წ. 169,492 ლარი) და შპს „საამშენებლო მასალები“ – 4900 ლარი (2018წ. 2,775 ლარი). ასევე საწარმოს გააჩნია ვალდებულება ერთ ურთიერთდაკავშირებულ იურიდიულ პირთან შპს „ამბ ჯგუფი“ - 9815 ლარი (2018წ. 0 ლარი)

ტრანზაქციები, შემოსავალი და ხარჯი ურთერდაკავშირებულ მხარეებთან 2019 წლის განმავლობაში არის შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეები	ხელმძღვანელობა
შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითირიებულიება	823 041	-
შემოსავალი საქონლის რეალიზიციიდან	823 041	-
ხელფასები და სხვა საკომპენსაციო ანაზღაურებები	-	148 750
ძირითადი ხელმძღვანელობა	-	148 750
ბეტონის ქარხნის იჯარა	-	116 803

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები ეკონომიკურ საქმიანობებზე მრავალ სექტორში.

კორონავირუსის ეფექტი, ფასს-ების შესაბამისად, არის არამაკორექტირებელი მოვლენა და აქედან გამომდინარე 2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული პროგნოზები და შესაბამისი დაშვებები არ განიცდის ცვლილებას კორონავირუსთან დაკავშირებით.

საწარმოზე COVID 19-ის შესაძლო გავლენის დაზუსტებით განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა საწარმომ გაანალიზა ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღიდან ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე ფაქტობრივი შედეგები. კომპანიამ ასევე გაანალიზა საპროგნოზო ფულადი ნაკადები მომავალი 12 თვიან პერიოდზე და შედეგად ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით უარყოფით ეფექტს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 26 სექტემბერი